ალბომი ოთხეულის ნომერი ფონდი

287 1 212

287 1 212

ГОСУДАРСТВЕННОГО ХРАНЕНИЯ

ДОКУМЕНТАЦИЯ 10
16.01.2025

მასწავლებლის დასახმარებლად

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცა ვ. კ. ბახტაძის შრომა „ისტორიის სწავლებისათვის დაწყებით სკოლაში“.

შრომის პირველ თავში ავტორი მასწავლებელთა ყურადღებას ამახვილებს ისტორიის სწავლების მიზნებსა და ამოცანებზე დაწყებით სკოლაში და აღნიშნავს, რომ „სსრ კავშირის ისტორიის სწავლებით, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლეები უნდა გაეცნონ მატერიალური დოვლათის წარმოებას ჩვენს ქვეყანაში, გაერკვნენ იმაში, რომ სოციალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, მთელი ქვეყნის დოვლათი—წიაღისეული სიმდიდრე თუ ადამიანთა ხელით მოპოვებული და შექმნილი მატერიალური და კულტურული საუნჯე—მშრომელთა კოლექტიურ საკუთრებას, მათი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს“ (გვ. 5).

მეორე თავში მოცემულია ისტორიის კურსის შინაარსი დაწყებით სკოლაში და მითითებულია, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ადგილობრივი სამხარეთმცოდნეო მასალა სსრ კავშირის ისტორიის გაკვეთილზე, რათა ამით გაუადვილოს მოსწავლეებს ისტორიის კურსის შესწავლა. მართებულია ავტორის მოთხოვნა, რომ მასწავლებელმა სსრ კავშირის ისტორიის ცალკეულ თემებს წარუმძღვაროს შესაფერისი მასალები საქართველოს ისტორიიდან; ყოველი გაკვეთილის ბოლოს დაფაზე დაუწეროს და ჩაწერინოს ბავშვებს ისტორიის რვეულებში ადგილობრივი მასალებიდან ახსნილი უმნიშვნელოვანესი ფაქტები, მოვლენები, თარიღები და ისტორიულ პირთა სახელები.

წიგნის მომდევნო თავებში მოცემულია ისტორიის მეთოდოლოგიური საფუძვლების ის ელემენტები, რომლებიც ისტორიის სწავლების პროცესში დახმარებას გაუწევენ მასწავლებლებს სწორად, მარქსისტულად გახსნან ზოგიერთი ისტორიული ცნება.

წიგნი დაწერილია კარგი ენით და ადვილად იკითხება.

მასწავლებელთათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ წიგნში შესულიყო ისტორიის სწავლების ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი, ქრონოლოგიის სწავლება, რუკის გამოყენება და ა. შ.

წიგნში გაშუქებული არაა აგრეთვე აღრიცხვის, ცოდნის შემოწმებისა და შეფასების საკითხი, მისი გაშუქება კი საჭირო იყო.

წიგნი, რომლის რედაქტორია აკ. თოფურია, მეტად მცირე ტირაჟით (2.000 ეკზემპლარი) არის გამოცემული, რაც სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებს დაწყებითი სკოლის მოთხოვნილებას.

ი. მახარაძე

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტი

კავშირებული იყო ხაოლლეონის იმპერიასთან — მამამისი თვითონვე იყო ნაპოლეონის არმიის გენერალი; როცა წამოიზარდა, იგი მოწმე გახდა იმპერიის დამარცხებისა, რასაც მოჰყვა რეაქციის გამეფება; მისი ჭაბუკობა და ახალგაზრდობა რესტავრაციის წლებს დაემთხვა; შემდეგ ამას მოჰყვა ივლისის მონარქია, 1848 წლის რევოლუცია, მეორე იმპერია; უფრო მოგვიანებით, უკვე ხანშიშესული და სახელმოხვეჭილი მწერალი თვითონვე მონაწილეობს პრუსიის წინააღმდეგ ომში და მგზნებარე სიტყვებით აღაფრთოვანებს თავის ხალხს სამშობლოს დასაცავად; შემდეგ პარიზის კომუნის გმირული დღეები; ვერსალის სისხლიანი ზეიმი; მესამე რესპუბლიკა... ყოველ დიდ მოვლენას, ყოველ გადატრიალებას ვიქტორ ჰიუგო აქტიურად ეხმაურებოდა და მთელი თავისი შემოქმედებითა და არსებით ხალხთან იდგა.

ვიქტორ ჰიუგომ ლიტერატურული მოღვაწეობა ბავშვობიდანვე დაიწყო. უკვე 15 წლის ჭაბუკს ლექსებისათვის აკადემიამ პრემია მიანიჭა. თავდაპირველად ჰიუგო ძველი სკოლის — კლასიციზმისა და რეაქციული რომანტიზმის მიმდევარი იყო და შატობრიანის

უნდა იყოს მათი მსჯავრმდებელი, მე ვგრძნობ, რომ აღშფოთებულ მუზას ძალუძს მიაჭედოს ისინი თავიანთ ტახტს, როგორც საშინელ ბოძს... ო, მუზა უნდა ემსახუროს უმწეო ხალხს!“.

ჰიუგო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს, კაპიტალისტური სახელმწიფოების საშინელ დამპყრობლურ პოლიტიკას, ხალხთა უმაგალითო ჩაგვრას და მჭუხარედ გამოდიოდა უსამართლობის წინააღმდეგ.

ჰიუგომ პროტესტით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ზანგთა აჯანყების მეთაურს ჯონ ბრაუნს. „ბრაუნის ჯალათი იქნება არა პროკურორი გენტერი, არა მოსამართლე პარკერი, არა გუბერნატორი უაიზი, არც პატარა შტატი ვირგინია. ბრაუნის ჯალათი იქნება, — ამის გაფიქრებაზე ტანში ჟრუანტელი მივლის, ამის თქმაც კი საშინელებაა, — ამერიკის მთელი რესპუბლიკა“.

1860 წელს ჰიუგო სიტყვას წარმოთქვამს და თანაუგრძნობს გარიბალდის, რომელიც იტალიელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდა; შემდეგ იგი